# ლიზა
# კეკუა

**02/12/2005**



სკოლა: **კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა**

პროგრამა: **დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები**

კურსი: **II**

CU ელ. ფოსტა:**L_KEKUA@CU.EDU.GE**

## ჩემს შესახებ

მე ვარ ლიზა კეკუა, დავამთავრე თბილისის N72-ე საჯარო სკოლა ოქროს მედალზე, ვარ სახელმწიფო გრანტის მფლობელი, ამჟამად, ვსწავლობ კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე.

მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება კავკასიის უნივერსიტეტის მეორე ნაკადის ელჩი გავმხდარიყავი. რაც შეეხება კარიერას, გამომდინარე დატვირთული აკადემიური პერიოდისაგან, ჯერჯერობით არ მაქვს კარიერული გამოცდილება, თუმცა ახლო მომავალში ვგეგმავ ამ კუთხითაც განვითარებას. ვარ მოცეკვავე, ვცეკვავ ქართულ ნაციონალურ ცეკვებს 7 წელია. მიყვარს მხატვრული ლიტერატურა. თავისუფალ დროს ვცდილობ მეგობრებთან ერთად გავატარო დრო, დავამყარო ახალი ურთიერთობები, გავიცნო ხალხი და მქონდეს მათთან საინტერესო და აზრიანი კომუნიკაცია. მიყვარს მუსიკა და ხელოვნება. განსაკუთრებულ დროს ვუთმობ პოლიტიკისა და რელიგიის შესწავლას, შესაბამისად მიყვარს აღნიშნულ საკითხებზე საზოგადოებასთან საუბარი და აზრებისა თუ იდეების გაცვლა.

სამომავლოდ ვგეგმავ, ვისარგებლო შესაძლებლობით, რომელსაც CU სთავაზობს თავის სტუდენტებს და მივიღო მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, რადგან მიყვარს მოგზაურობა და ცვლილებები. მინდა გამოვიყენო ყველა საშუალება, რაც წინსვლასა და განვითარებაში თუ განათლების მიღებაში შემიწყობს ხელს.

კავკასიის უნივერსიტეტის ელჩი
CAUCASUS UNIVERSITY
AMBASSADOR